პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (9888) | ხუთშაბათი, 13 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო სამუშაოებში (მე-2 გვერდი)

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან. — კომუნისტები მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-3 გვერდი).

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში [illegible]

ქლუხორის რაიონის საკოლმეურნეო [illegible] (მე-3 გვერდი).

ერთხელ კიდევ კორეის საკითხის შესახებ — **ვ. მ. მოლოტოვის** განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 11 მაისს (მე-3 და მე-4 გვერდი).

ქართული ბიბლიოთეკა

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ თიბვასა და საკვების დასილოსებას

მეცხოველეობის, პირველ რიგში საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, და ახლა იგი პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის საფუძველი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაა. იწყება პასუხსაგები სამუშაო პერიოდი საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. საქართველოში მალე გაჩაღდება როგორც ნათესი, ისე ბუნებრივი ბალახების თიბვა და საკვების დასილოსება. საკვების დამზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და იგი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს. მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული 1953-1954 წლის მკაცრი ზამთრის მწარე გაკვეთილი, როცა მომთაბარე მეცხვარეობის მთელ რიგ რაიონებს ზამთარმა მოუმზადებელს მოუსწრო, როცა მათ საზამთრო საძოვრებზე საჭირო რაოდენობით ვერ შექმნეს თივის სადაზღვევო მარაგი, რაც ცხვრის დიდი ზარალის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სწორედ საკვების დამზადების დაწყების პირველი დღეებიდანვე აუცილებელია კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა სათანადო დასკვნები გააკეთონ წარსული ზამთრის სავალალო შედეგებიდან, ყველა საშუალება, მთელი რეზერვები გამოიყენონ იმისათვის, რომ საკვების დაგროვების გეგმა წარმატებით შეასრულოს თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

საკვების დამზადებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებს. საბჭოთა სახელმწიფომ ისინი აღჭურვა პირველხარისხოვანი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. მათ სრული საშუალება აქვთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად მოაწყონ თიბვა და საკვების დასილოსება. ადგილებიდან მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ტექნიკის მომზადება საკვების დასამზადებლად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თივის ასაღები მანქანების რემონტის საქმეში შეუწყნარებელი უდარდელობის ფაქტებს ვხვდებით სიღნაღის რაიონში. ამ რაიონის წნორის მტს-ში ცხრა სათიბი მანქანიდან არც ერთი არ არის შეკეთებული. ამ მხრივ უპასუხისმგებლობას იჩენენ აგრეთვე ბაკურიანის მეცხოველეობის სამანქანო სადგურში, სადაც რემონტის გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. სილოსის საჭრელი მანქანების შეკეთების მხრივაც საგანგაშო მდგომარეობაა. ლენინგორის, ახალციხის, წალკის, ალაზნის, გალის, ზუგდიდისა და ზესტაფონის მტს-ებს 10 მაისისათვის არც ერთი სილოსის საჭრელი მანქანა არ ჰქონდათ გამოშვებული რემონტიდან. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ურიგდებიან ამ მდგომარეობას და გადამწყვეტ ღონისძიებებს არ ახორციელებენ სილოსის საჭრელი მანქანების რემონტის დასაჩქარებლად. ბოლო უნდა მოეღოს მტს-ების მუშაკთა გულგრილ დამოკიდებულებას საკვების დასამზადებელი მანქანებისადმი. მტს-ების მუშაკთა ღვიძლი საქმეა სრულად მოამზადონ და მაღალნაყოფიერად გამოიყენონ ყველა სათიბი და სილოსის საჭრელი მანქანა, დროულად დააკომპლექტონ თივის ასაღები სატრაქტორო აგრეგატი გამოცდილი ტრაქტორისტებით.

თივის მნიშვნელოვანი ნაწილი აიღება კოლმეურნეობათა ძალებით. საქმის ინტერესი მოითხოვს სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა კოლმეურნეობათა თივის ასაღები ინვენტარის მომზადებაში, რასაც მთის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვხვდებით.

შეუნელებელი ყურადღების ღირსია თივის სადაზღვევო მარაგის შექმნა საზამთრო საძოვრებზე. ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების კოლმეურნეობების ცხვარი ზამთრობს ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე, ხოლო სიღნაღის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს, თელავის, ყვარლისა და ბოლნისის რაიონებისა — აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე. ამ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღონისების საქმეა დარაზმონ კოლმეურნეები საზამთრო საძოვრებზე საკვების უხვად დასამზადებლად, რათა ვერავითარმა გაჭიანურებულმა ზამთარმა კოლმეურნეობებს ზარალი ვერ მიაყენოს. მომთაბარე მეცხვარეობის რაიონების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზამთრო საძოვრებზე დროულად უზრუნველყონ საკმაო მუშახელის გაგზავნა და ამთავითვე იზრუნონ თივის სადაზღვევო მარაგის შესაქმნელად.

თიბვისა და საკვების დასილოსების წარმატებით მოწყობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო საკვების მომპოვებელი ბრიგადების სწორად და დროულად მოწყობას. ამასთან შარშან ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში ასეთი ბრიგადები ჩამოყალიბებული არ იყო. მთელ რიგ რაიონებში კი საკვების მომპოვებელი ბრიგადები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ, პრაქტიკულ მუშაობას არ ეწეოდნენ. მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის გაფართოება მოითხოვს უზრუნველყოთ საკვების მომპოვებელი ბრიგადების დაკომპლექტება გამოცდილი კოლმეურნეებით. დროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკვების მომპოვებელი ბრიგადების მუშაობა მოაქციონ თავიანთი მუშაობის ყურადღების ცენტრში.

თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში კოლმეურნეებისა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებისათვის დაწესებულია მატერიალური წახალისება. ამ პერიოდში კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან პარტიისა და მთავრობის მიერ დადგენილი რაოდენობით ავანსად გასცენ შრომადღეებზე თივა და ნამჯა. ამ წესის განუხრელად დაცვა დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობებში საკვების დამზადების გეგმის მოკლე ვადებში შესრულებას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უდიდესი შესაძლებლობა აქვთ შექმნან მეცხოველეობისათვის საკვების საჭირო მარაგი. „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები რაიონებიდან იტყობინებიან, რომ წელს ნათესი და ბუნებრივი ბალახების უხვი მოსავლია. ეს მდგომარეობა გვიკარნახებს ხელიდან არ გავუშვათ ხელსაყრელი მომენტი, ავამოქმედოთ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი შინაგანი რეზერვი, თივის მოსავალი ავიღოთ სწრაფად, არ დავუშვათ ბალახის გადამწიფება.

თივის აღების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოვალეობაა დაუყოვნებლივ გამოასწოროონ სერიოზული ნაკლოვანებები, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ თივის აღებას, დაზვინვასა და საკვების დასილოსებას, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

გორკის სახელოგნის კულტურის სახლში

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კულტურის სახლის (ალუხანოვის პროსპექტი № 65) პარკში ამ დღეებში გაიხსნა საზაფხულო სეზონი. სეზონის გახსნისათვის პარკში დადგმულია დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის მონუმენტი. ქანდაკების სიმაღლეა 2 მეტრი და 30 სანტიმეტრი. იგი დადგმულია რუხი გრანიტის კვარცხლბეკზე. მონუმენტის პროექტის ავტორები არიან მოქანდაკეები ბ. ავალიშვილი, ი. ოქროპირიძე და რ. ამიროვი.

პარკში ზაფხულის მთელ სეზონში იმუშავებს საზაფხულო კინოთეატრი, საღამოობით დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი.

კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი დრამატული ქართული და რუსული წრეები, ქორეოგრაფიული, ინსტრუმენტალური, საბალეტო ცეკვების, ფორტეპიანოს შემსწავლელი, ხატვის, ჭრა-კერვის, საბუჭდი მანქანის, ჭარგვის, ჭადრაკისა და შაშის, ქართული საესტრადო და ლიტერატურული წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა-დაწესებულებების 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე და მოსწავლე.

ქართულმა დრამატულმა წრემ უკანასკნელად მაყურებელს უჩვენა ბ. ლავრენევის „რღვევა“. რუსულმა დრამატულმა წრემ დადგა ს. მიხალკოვის „კიბეები“.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ქართული დრამატული წრე დასადგმელად ამზადებს ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტს“, რუსული წრე — ბ. სადკოს და ვ. ბალაბინის „ეს მილიონს“.

როგორც ქართული, ისე რუსული დრამატული კოლექტივები დახმარებას უწევენ ფაბრიკა-ქარხნების კლუბებთან არსებულ დრამატულ წრეებს.

სურათზე: მ. გორკის მონუმენტი გორკის სახელობის კულტურის სახლის პარკში.

უკრაინული კინოფილმების ფესტივალი

10 მაისს სურათით „ბოგდან ხმელნიცკი“ თბილისის ოფიცერთა სახლში დაიწყო კინოფესტივალი, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

მაყურებლები ნახავენ სურათებს „კოტოვსკი“, „ტარას შევჩენკო“, „კაზაკ გოლოტას ამბავი“, „უკრაინული ხელოვნების ოსტატთა კონცერტი“ და სხვ.

გარდა ფესტივალისა, ოფიცერთა სახლი ატარებს ბევრ სხვა საინტერესო ღონისძიებას. გაიმართება უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამო, მოხსენება თემაზე „ბოგდან ხმელნიცკის სამხედრო ხელოვნება“, მკითხველთა კონფერენცია ნ. რიბაკის წიგნზე „პერეიასლავის რადა“, მასობრივი სადღესასწაულო სეირნობა ოფიცერთა სახლის პარკში და სხვ.

კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოში ფართოვდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოები, შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები, კოლმეურნეობებს რთავენ სახელმწიფო ელექტროქსელში. 1954 წელს დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურები ახალქალაქის, ორჯონიკიძის, ქობულეთისა და ხულოს რაიონებში. კასპის რაიონში დამთავრდება სახელმწიფო სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. იგი დენს მისცემს საკოლმეურნეო სოფლებს. კოლმეურნეობებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის დაიდგმება 1.000 ელექტროძრავი.

წელს უნდა მოხდეს 110 კოლმეურნეობის, 12 მტს-ის, 7 საბჭოთა მეურნეობის და 2 მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურის ელექტროფიკაცია.

გასული წლის დამლევს ამუშავდა სახელმწიფო სასოფლო ჰიდროელექტროსადგურები ლაგოდეხისა და გუდაუთის რაიონებში, დენი მოგვცეს ოჩხამურისა და ახალციხის რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობას ახლა მომსახურებას უწევს 200-ზე მეტი ელექტროსადგური, ხოლო კოლმეურნეობებში მუშაობს 1.000-მდე ელექტრომოტორი.

ჩაის ფოთლის კრეფა

დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ბევრგან მეჩაიე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მასობრივად შეუდგნენ კრეფას. 11 მაისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 1.466,8 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშან ამავე პერიოდისათვის კი მოკრეფილი იყო 203,8 ტონა.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება შესრულებულია 18,8 პროცენტით, ქობულეთის — 9,2, გალის — 6,8, ოჩამჩირის — 4,3, გულრიფშის — 11,6, სოხუმის — 0,2, მახარაძის — 5,7, ჩოხატაურის — 2,9, ლანჩხუთის — 3,6, სამტრედიის — 1,7, წულუკიძის — 11,1, ქუთაისის — 9, წყალტუბოს — 17,5, ტყიბულის — 0,1, ცხაკაიას — 9, აბაშის — 1,9, გეგეჭკორის — 5,5, ზუგდიდის — 3,7, წალენჯიხის — 2,7, ჩხოროწყუს — 11,1, ხობის — 4,1, თერჯოლის რაიონში — 28,9 პროცენტით.

კიტრის ახალი მოსავალი

ბოლრი. (საკ. კორ.). სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვალსათბურო მეურნეობა. წელს აქ პირველად დაინერგა ჩარჩოების ქვეშ კიტრის მოყვანისა და ნეშომპალა-ძიწის ქოთნებში პამიდორისა და წიწაკის ჩითილის გამოყვანის პრაქტიკა. ქოთნებში გამოყვანილია 27 ათასი ძირი შარტო პამიდორის ჩითილი. კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ვასილ თედელური ხელმძღვანელობს, შეუდგა ღია გრუნტში პამიდორის ჩითილის კვადრატულ რგვას.

ამ დღეებში კოლმეურნეობაში დაიწყეს კიტრის შერჩევით კრეფა. სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობამ გორის საკოლმეურნეო ბაზარზე რაიონში პირველმა გამოიტანა კიტრი გასაყიდად.

არის კარტოფილის მწვანე კვადრატი!

გარიჟრაჟიდან შინ ვერავის ნახავთ, ყველანი საკოლმეურნეო მინდვრებში არიან. კოლმეურნეები და მექანიზატორები დაუღალავად შრომობენ ნათესლების მოვლა-დამუშავებაზე.

ბოლნისის რაიონის სოფელ არუხლოს კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ჯ. ოსმანოვი) საკოლმეურნეო მინდვრებში ვართ. ყურადღებას იპყრობს კვადრატულ-ბუდობრივად დარგული კარტოფილი. აქ ვერ გაარჩევთ, კარტოფილის რომელი მცენარეა მაღალი ან დაბალი. ყველა მცენარე თანაბრად არის განვითარებული. კარტოფილის ამ წეხით დარგვა რაიონში წელს პირველად განახორციელეს თამარისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორებმა, კარგად გამოიყენეს კარტოფილის ახალი სარგავი მანქანა „სკგ-4“.

სოფელ არუხლოს კოლმეურნეობის კარტოფილის ნათესი მშვენიერი სანახავია. 22 ჰექტარი გადამწვანებულია კარტოფილის მცენარით. კარტოფილის მწვანე კვადრატი არის კვადრატების კუთხეებში ერთიმეორისაგან 70 სანტიმეტრის დაშორებით ამოსულია კარტოფილი. ასეთი გამლაგების მეოხებით იქმნება ნათესის მოვლის მთლიანი მექანიზაციის შესაძლებლობა.

არუხლოელ კოლმეურნეთა ნაკვეთებში მუშაობს „უ-2“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც ჯ. ინუხოვი მართავს. ტრაქტორს მიბმული აქვს კულტივატორი, რომლითაც აფხვიერებენ კარტოფილის ნათესს. ნათესის კულტივაცია ხდება ორი მიმართულებით, რაც მკვეთრად ამცირებს ხელის შრომას ნათესლების მოვლაზე. ეს ქმნის საუკეთესო პირობებს მცენარის განვითარებისათვის, მაშასადამე, უხვი მოსავლის მიღებისათვის. ტრაქტორისტი ჯ. ინუხოვი ყოველდღიურად კარტოფილის ნათესის კულტივაციას 12-13 ჰექტარზე აწარმოებს ნაცვლად 10 ჰექტარისა. ყოველდღიურ მორმას გადაჭარბებით ანაღდებს აგრეთვე ტრაქტორისტი მ. იბრაგიმოვი.

არუხლოელებმა რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს კარტოფილის პირველი კულტივაცია, ახლა მეორე კულტივაციაზე მუშაობენ. ნიადაგიც კარგად გაანყობიერეს ორგანული და მინერალური სასუქებით, რომ თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 250 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერისა.

საუკეთესოდ უვლიან კვადრატულ-ბუდობრივად დარგულ კარტოფილის ნათესებს სოფელ სარაჩლოს, ჭოჩულოს, ტაშტიკულარის, ფაზრალოს, წითელსოფლის კოლმეურნეობებში. სულ რაიონში ახალი პროგრესული მეთოდით — კვადრატულ-ბუდობრივად კარტოფილი უნდა დარგოთ 100 ჰექტარი, ფაქტიურად დარგულია 137 ჰექტარი. სწრაფი ტემპია, მიმდინარეობს რაიონში კარტოფილის მექანიზებული დამუშავება.

შ. ჭოტაშუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ტ. ლაცისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ტ. ლაცისის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. ვილის ტენისის-ძე **ლაცისი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 11 მაისი.

საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 მაისის ცნობებით)

რაიონები	სულ ნათესი ფართობის % -ებით	საკვები კულტურები				
		ნათესი ბალახები				სასილოსე კულტურები
		ბრეგელ-ფლიანი	ერთწლი-ანი	საკვები ძირხვეული		
ახალქალაქის	44,6	4,4	27,7	0		0
ბოგდანოვკის	42,2	0	59,7	0		12,4
ახალციხის	70,4	34,3	82,0	40,0		20,9
ადიგენის	57,1	20,0	46,0	14,7		6,7
ასპინძის	73,1	34,8	154,0	40,0		55,4
ბაშურის	81,7	17,3	75,5	90,0		78,1
ქარელის	86,1	24,0	47,8	94,8		107,6
გორის	96,9	136,1	108,0	98,8		98,6
კასპის	98,8	58,4	120,3	106,4		104,0
ბორჯომის	28,1	12,0	—	2,0		0
წალკის	68,0	24,0	25,3	10,5		13,5
დუშეთის	60,3	48,0	28,0	46,4		20,0
თეთრი წყაროს	92,0	59,5	148,0	71,8		91,6
თიანეთის	50,7	21,1	14,0	25,5		4,6
ყაზბეგის	16,7	—	—	—		—
გურჯაანის	100,5	88,8	90,7	101,8		85,7
კაკრეთის	103,3	99,2	117,1	85,1		94,0
სიღნაღის	103,4	73,0	91,5	82,7		109,5
წ-თელწყაროს	113,7	118,0	125,7	94,7		140,3
თელავის	92,3	65,5	110,0	112,4		71,8
ახმეტის	100,5	39,0	120,0	96,0		97,2
ყვარლის	101,6	45,0	112,3	102,7		100,4
ლაგოდეხის	66,9	95,0	81,8	85,3		49,6
გარეჯის	93,3	31,7	143,8	103,7		103,8
ცაგერის	90,1	101,0	100,3	100,0		100,0
გარდაბნის	95,5	42,0	107,1	100,0		94,8
მარნეულის	85,0	117,1	67,4	99,4		95,6
ბოლნისის	106,5	61,3	156,0	96,0		103,8
საგარეჯოს	107,7	33,6	142,4	101,6		206,5
დმანისის	99,0	70,0	4,7	84,8		83,0
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	56,0	36,8	27,3	89,7		41,6
აბაშის	43,3	40,0	53,6	89,0		91,0
ცხაკაიას	46,1	57,0	67,5	30,6		48,5
გეგეჭკორის	67,5	25,0	49,0	51,2		41,5
ზუგდიდის	56,3	46,7	25,0	47,1		26,4
ხობის	44,7	—	22,4	18,0		50,0
წალენჯიხის	75,8	0	19,2	0		19,0
ჩხოროწყუს	69,6	0	16,7	20,0		17,8
მახარაძის	72,5	64,0	12,3	62,8		17,5
ლანჩხუთის	60,8	46,6	37,9	50,9		22,0
ჩოხატაურის	52,1	0	16,8	24,0		16,0
ფოთის	61,2	—	65,0	100,0		90,0
ქუთაისის	90,1	73,3	85,0	72,0		87,6
წყალტუბოს	84,5	46,6	47,8	62,0		59,4
სამტრედიის	76,8	82,0	30,4	52,9		40,5
წულუკიძის	72,4	64,0	21,3	80,0		36,9
ვანის	72,5	128,6	32,3	94,0		57,0
მაიაკოვსკის	31,0	50,0	48,7	67,1		14,5
ზესტაფონის	90,3	80,0	98,7	88,2		98,3
თერჯოლის	75,1	100,0	72,5	130,0		66,7
ჭიათურის	52,2	6,7	38,0	3,5		11,2
საჩხერის	51,5	38,0	24,4	2,4		15,9
ორჯონიკიძის	49,5	50,0	28,5	40,0		68,5
ტყიბულის	71,3	30,0	14,5	42,2		20,4
ონის	33,1	0	—	0		0
ამბროლაურის	45,5	52,0	—	6,0		2,8
ცაგერის	35,0	28,0	—	16,0		0
ლენტეხის	43,9	—	—	0		0
მესტიის	62,6	—	—	—		0
ქლუხორის	64,3	—	—	0		—
აფხაზეთის ასსრ	20,0	37,0	8,1	12,0		0
აჭარის ასსრ	52,4	24,8	33,1	36,0		27,5
სულ რესპუბლიკაში	**66,0**	**44,8**	**62,6**	**63,9**		**62,1**

შენიშვნა: მაიაკოვსკის მტს-დან ცნობები 5 მაისისაა.

ბოლნისის რაიონის სოფელ არუხლოს კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად დარგული კარტოფილის კულტივაცია ორი მიმართულებით.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო სამუშაოებში

„კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთების რეიდი

გეგეჭკორის რაიონში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც მთელ ძალებს ახმარენ საგაზაფხულო სამუშაოების დროულად დამთავრებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ნაგვაზოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ სიმინდი უნდა დათესონ 485 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივი წესით 210 ჰექტარი. საამისოდ დროზე და კარგად მოხნეს ნიადაგი, შეიტანეს ნაკელი, შლამი. ახლა სწრაფად თესავენ სიმინდს. კოლმეურნეები ა. ახალაია, შ. სილაგავა, ვ. ცერცვაძე თესვის დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ. აქ ჩაის პლანტაციებს სანიმუშოდ უვლიან. უკვე დაიწყეს ფოთლის კრეფა.

მაგრამ ასე როდი ითქმის ყველა კოლმეურნეობაზე. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყველა რეზერვი როდია მთლიანად გამოყენებული, ზანტად, არაორგანიზებულად მიმდინარეობს მუშაობა. ამ მხრივ ყველაზე მეტ დაუდევრობას იჩენენ თამაკონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. კვაშილავა). აქ საგაზაფხულო ხვნისა და სხვა სახის სამუშაოები ჩამორჩება. ამის მიზეზია შრომის ცუდი ორგანიზაცია, სუსტი დისციპლინა. მუშა-პირუტყვი სათანადოდ არ არის გამოყენებული. ვხვდებით აგროწესების დარღვევასაც. მეხუთე ბრიგადაში (ბრიგადირი მ. კაკამეილი) სიმინდი ისეა დათესილი, რომ თესლის დაახლოებით 30 პროცენტი ნიადაგში არ არის ჩაფლული. ასევეა მესამე ბრიგადაშიც. ამ მდგომარეობას რატომღაც ურიგდებიან აგრონომი ა. ხვიჩია და აგროტექნიკოსი ბ. ფარცვანია. გააჭიანურეს 103 ჰექტარ პლანტაციაში აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის დროულად შეტანა. სერიოზული დარღვევებია საკვები ძირხვენების, ერთწლიანი ბალახების თესვასა, ტუნგოს შემობარვასა და მინდვრად ნაკელის გატანაში.

სოფელ ტალერის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ბერიშვილი) ჩაის პლანტაციის გადაბარვისას დაარღვიეს აგროწესები. პლანტაციაში ფოსფორი ნიადაგში არ იყო ჩათოხნილი. ზოგან ჩაის პლანტაცია ისე გადაბარეს, რომ მისი განყოვრება არ მოუხდენიათ. ყველგან მოწყობილი არ არის დრენაჟები და წყალსაწრეტი არხები, რის გამო ჩაის ფართობები ზოგან დაჭაობებულია. მოუვლელობით განადგურდა რამდენიმე ჰექტარი ჩაის ახალგაზრდა პლანტაცია. გეგმით უნდა გაეშენებინათ 1.500 ძირი თუთა, მაგრამ ეს სამუშაოც ჩაშალეს. აქ არიან ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც საზოგადოებრივ შრომას გაურბიან. ს. გუნავას, ფედოსია, ლიდა თოდუებს შარშან შრომადღეების მინიმუმი არ გამოუშუშავებიათ და წელსაც ერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებასა და გავრცელებას. აგიტატორები ზ. გელენიძე, კ. თოდუა სრულ უმოქმედობას იჩენენ.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივ შრომაში ყველა კოლმეურნე არ მონაწილეობს, საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენაა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ორგანული სასუქის მინდვრად გატანა ჭიანურდება, მაშინ როცა ნაკელი მეცხოველეობის ფერმებთან ბლომად არის.

ვედიდკარის კოლმეურნეობა „შეერთებულ ძალაში“ შარშან ვერ შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება, დაბალი იყო სათოხნი კულტურების მოსავლიანობა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ახალი ვითარების შესაბამისად გარდაქმნიდა მუშაობას, მაგრამ ასე არ მოხდა. მექანიზაციის მოლოდინში არიან და სრულყოფილად არ იყენებენ მუშა-პირუტყვს. ამიტომ საგაზაფხულო ხვნა-თესვა ჭიანურდება.

რაიონში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგია, რაც უმთავრესად საკვები ბაზის უქონლობით აიხსნება. ეს ბევრ რამეს ავალებს მტს-ის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მაგრამ ამ საქმეში არსებითი გარდატეხა მაინც არ არის. უყურადღებოდ ეკიდებიან საკვები ძირხვენების, სასილოსე კულტურებისა და ერთწლიანი ბალახების თესვას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რაიონს ყოველწლიურად აძლევს მრავალწლიანი ბალახების გადიდებულ გეგმას, მაგრამ კოლმეურნეობები რატომღაც თესლით არ მარაგდებიან. მდგომარეობა წელსაც უცვლელია.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ მტს-ის პარკის გამოყენების დონე დაბალია. იგი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობათა მოთხოვნებს. მექანიზატორები უჩივიან სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას, რის შედეგად იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ტრაქტორები ხვნა-თესვაზე ვერ გადიან. მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე თავი იჩინა მანქანის ცუდად შეკეთების მრავალმა ფაქტმა, რამაც დიდად შეაფერხა ხვნის დაწესებულ ვადაში განაღდება. მტს-ში რამდენიმე წელია, რაც სახელოსნოსთვის შენობა ააგეს, მაგრამ შენობის სახურავის ნაწილი უვარგისია, ამასთან დაზგა-დანადგარების გასამართავად საჭირო თანხა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამაზე რატომღაც არ ფიქრობს. მტს-ში დღემდე ვერ მოხერხდა ელექტროკოსიკის მშენებლობა.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ მინდვრის სამუშაოთა ტემპის გასაძლიერებლად, უზრუნველყონ თესვის მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად შესრულება.

გაზეთ „კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ ბრიგადა: ა. პატარაია, ლ. მოწყერელია, მ. ჯვებენავა, აგრონომი ლ. კოგბახიძე.

სიღნაღის რაიონის წნორის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ენერგიულად მუშაობს კოლმეურნეობებში მეფრინველეობის განვითარებისათვის. სურათზე: სადგურის თანამშრომელი ე. გონაშვილი ამზადებს კვერცხებს ინკუბატორში ჩასაწყობად.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ახალი საინკუბაციო სადგური

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ელექტროფიცირებული საინკუბატორო სადგური, სადაც დადგმულია ინკუბატორი „რეკორდ-39“. იგი 39.000 ცალ კვერცხს იტევს.

წელს საინკუბატორო სადგური გამოუშვებს 60.000 ფრთა წიწილას; მათ შორის 15.000 ჯიშიანი ქათმისა იქნება. იგი მთლიანად უზრუნველყოფს წიწილებით რაიონის კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს. მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნება გამოყვანილი აგრეთვე ინდაურის ბუჟი.

ქლუხორის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე

ქლუხორი. („კომუნისტის“ კორ.). ახლა საკოლმეურნეო მინდვრებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ წელს მიიღწიონ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას.

კოლმეურნეობებმა დაამთავრეს საგაზაფხულო ხორბლისა და ქერის თესვა. მთავრდება სიმინდისა და კარტოფილის თესვა. ქლუხორის მეცხოველეობის სამანქანო სადგურს მეზობლური დახმარება გაუწიეს სტავროპოლის მხარის მექანიზატორებმა. მათ ვალდებულება აკისრეს კვადრატულ-ბუდობრივად დათესონ 60 ჰექტარი კარტოფილი. ეს დავალება ამ დღეებში მთლიანად განაღდებულ იქნება.

მექანიზატორებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, დაწინაურდნენ ტრაქტორისტები ა. რეხვიაშვილი, ნ. გნატენკო, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე წელს ხორბლის ჯეჯილს კარგი ბირი უჩანს. დროულად ჩატარდა ნთესვის მინერალური სასუქებით გამოკვება. ამყამად კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დახმარებით მზად არიან თივის აღებისათვის. ეს სამუშაო ამ დღეებში გაჩაღდება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 5 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ამერიკის საელჩოს ნოტა, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თითქოს აქვს ინფორმაცია, რომ კორეაში საომარი მოქმედების მონაწილე ამერიკელი სამხედრო ტყვეები გადმოყვანილი არიან საბჭოთა კავშირში.

12 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა.

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს № 947 ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო 1954 წლის 5 მაისს, სამინისტროს პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღნიშნულ ნოტაში მოყვანილი მტკიცება, რომ კორეაში საომარი მოქმედების [illegible] სამხედრო ტყვეები თითქოს გადმოყვანილი არიან [illegible] იმყოფებიან საბჭოთა [illegible] მოთვალყურეობაში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და აშკარად მოგონილია, რადგანაც საბჭოთა კავშირში ასეთი პირები არ ყოფილან და არ არიან“.

თბილისის საკოლმეურნეო გაზრდებზე

საპატიო საქმე აკისრიათ დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკებს. მათი მოვალეობაა გულისხმიერად შეხვდნენ კოლმეურნეებს, გადმოუზიდონ, დაულაგონ და დაუბინონ მათი დოვლათი, მიუჩინონ სუფთა დახლზე პროდუქტების გასაყიდი ადგილი, მიაწოდონ ვაჭრობისათვის საჭირო ინვენტარი.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად დიდი სამუშაოებია გაწეული დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის დარგში. მიმდინარე წელს კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 350 ათასი მანეთი, შეძენილ იქნა 103 ათასი მანეთის ინვენტარი. მარტო კიროვის რაიონის დახურული ბაზრის შენობის რემონტზე მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაიხარჯება 342.400 მანეთი.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ (უფროსი ამხ. ჩიგოგიძე) მიმდინარე წლის ფულადი შემოსავლის პირველი კვარტალის გეგმა 142,5 პროცენტით შეასრულა. ქალაქის მოსახლეობისა და კოლმეურნეთა მომსახურების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს კიროვის რაიონის ორსართულიან გადახურულ საკოლმეურნეო ბაზარს (დირექტორი ამხ. უზნაძე). აქ ყოველდღიურად კულტურულ მომსახურებას უწევენ ათასობით კოლმეურნეს და მომხმარებელს, იცავენ წესრიგს. კეთილმოწყობილი ხდება 26 კომისრის რაიონის შაუმიანის მოედანთან აგებული საკოლმეურნეო ბაზარი (დირექტორი ამხ. ოვანესიანი).

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი დეფექტია. ცუდად მუშაობენ ღამის გასათევი სახლები. საკოლმეურნეო ბაზრების ავტობაზა (დირექტორი ამხ. ვარნაზოვი) სანახევროდაც არ არის დატვირთული, მოუქნელად მუშაობს.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ბაზრებში სისუფთავისა და სანიტარული პირობების დაცვის საკითხზე. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოწინავე საკოლმეურნეო ბაზრებმა გააბათილეს ჩამორჩენილი შეხედულება, თითქოს ბაზარზე, სადაც ათასობით მოჰხმარებელი ტრიალებს და ასეთ ტონობით პროდუქტები იყიდება, შეუძლებელი იყო სისუფთავის დაცვა. ახლა ეს დავის საგანი აღარ არის. მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობს, ბაზრის მუშაკებს შორის თურმე ჯერ კიდევ არიან ამ მცდარი აზრის მიმდევარნი. ამას წინათ მოლოტოვის რაიონში საბჭოს ქუჩაზე მდებარე საკოლმეურნეო ბაზარზე (დირექტორი ამხ. მაჭავარიანი) რაიონმასკომის სანეგიდლადგურის, საფინანსო განყოფილებისა და ვაჭრობის განყოფილების მუშაკებმა მოაწყეს რეიდი. რა ნახეს რეიდის მონაწილეებმა? ბაზრის ტერიტორია დანაგვიანებული იყო, სანაგვე ყუთებს სახურავები არ ჰქონდა. ნაცვლად იმისა, რომ ზომები მიეღო სისუფთავის დასაცავად, ამხ. მაჭავარიანმა დევნა დაუწყო სანიტარ ექიმებს, ესაო და ხელს მიწლიან გეგმის შესრულებაშიო. — ასეთი ანტისანიტარულად განწყობილი მუშაკები სხვა ბაზრებზეც მოიპოვებიან.

26 კომისრის რაიონის (ნავთლუღის) საკოლმეურნეო ბაზარშიც (დირექტორი ამხ. თანიაშვილი) ჩვენ ვნახეთ ანტისანიტარული მდგომარეობა. უსუფთაობაა ორჯონიკიძის რაიონის (საბურთალოს) საკოლმეურნეო ბაზარშიც (დირექტორი ამხ. გოგოლაძე).

საწყუნაროდ, საკოლმეურნეო ბაზრებზე ჯერ კიდევ ვხვდებით სპეკულანტებს. ვერის ბაზარზე ვართ. შესვლისთანვე შემოგვეგება ტანმორჩილი ჭაბუკი, რომელსაც ნედლი თევზი ეჭირა ხელში.

— რა ღირს?

— იაფად მოგცემთ თქვენი ხათრისათვის. ჩემმა მზემ, ახლა დავიჭირე, — და ჭაბუკმა თევზი მამასისხლად ტაგვიფასა.

ჩვენ მაშინვე ვიცანით თევზი. იგი თბილისის თევზის მაღაზიაში „დანაჭერი“ იყო. მაგრამ ეს როდი გაგვკვირვებია. ჩვენ გაგვაკვირვა ფასმა და იმან, რომ იქვე ტრიალებდნენ ბაზრის მუშაკები და ამ პირწავარდნილ სპეკულანტს ხმას არა სცემდნენ. თევზის გამყიდველი აღმოჩნდა ვინმე ხეჩუაშვილი, რომელიც ბაზრის დირექციის მიერ (დირექტორი ამხ. მაღლაკელიძე) რეგისტრირებულია როგორც გადამყიდველი, მაგრამ მაინც ამავე ბაზარზე თარეშობდა, ალბათ მილიციის ზოგიერთი მუშაკის ხელისშეწყობით თუ წაყრუებით. როდესაც ჩვენ სპეკულაციის მეორე ფაქტი აღმოვაჩინეთ და დირექტორს მოვახსენეთ, ამხ. მაღლაკელიძემ სავსებით სამართლიანად, ამაში ბრალი დასდო მილიციის მუშაკებს, რომლებიც ლმობიერებას იჩენენ სპეკულანტების მიმართ. სპეკულაციის ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე სტალინის, მოლოტოვისა და სხვა რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებში. ეს იმას მოწმობს, რომ მილიციისა და პროკურატურის ორგანოები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ სპეკულაციის ძირფესვიანად აღკვეთისათვის. სამაისო სადღესასწაულო ბაზრობის დროს დედაქალაქის მოსახლეობის შემოზიდული პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში საკმაო უნარი ვერ გამოიჩინეს მთელმა რიგმა რაიონებმა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ ყოველად შეუწყნარებელ მოვლენაზე. ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა, შეპყრობილი ფულადი შემოსავლის ხელოვნურად გადიდების ტენდენციით, ნაცვლად იმისა, რომ ხელს უწყობდეს საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების თანდათანობით დაკლებას, სპეკულაციურ ფასებს აწესებს ბაზრებზე სარეალიზაციოდ გამოტანილ პროდუქტებზე. მოვიყვანთ მაგალითებს.

აბაშის რაიონის სოფელ ნასაკოვოს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ საკოლმეურნეო ბაზრობაზე გასაყიდად გამოტანილ ჯოჯის ხორცზე დაიწესა ფასი, რომელიც თითქმის 50 პროცენტით აღემატებოდა ბაზარზე არსებულ ფასებს. სტალინირის რაიონის სოფელ არცევის ძაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილების თანახმად კოლმეურნეობის წარმომადგენლები ქათამსა და თაფლს აფასებდნენ ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით თითქმის 20 პროცენტით მეტად. თეთრი წყაროს სოფელ ღოლოვანის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს 109 კილოგრამი ხორცი კინაღამ გაფუჭდათ, რადგან გამგეობას კილოგრამზე დაეწესებინა 22 მანეთი. ბაზარზე კი ამ ხარისხის ხორცი 15-16 მანეთად იყიდებოდა. დღის ბოლოს ხორცის გაფუჭების შიშით იძულებული გახდნენ 10 მანეთამდე დაეწიათ ფასი. ასეთ არაჯანსაღ ტენდენციას გზა უნდა გადაეღობონ რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

სამაისო ბაზრობის დროს შემჩნეული იყო, რომ რაიონებიდან ჩამოტანილი პროდუქტების ნაწილი სპეკულანტ-გადაყიდველებს უვარდებოდათ ხელში, მილიციის მუშაკები კი უმოქმედობას იჩენდნენ.

როგორც ცნობილია, ცენტროსოიუზს დაევალა შემოიღოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღება საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდად. გვაინტერესებდა, როგორ შეასრულა პარტიისა და მთავრობის ეს სამპატიო დავალება ცეკავშირმა, და ამიტომ გავეშურეთ № 10 საკომისიო მაღაზიისაკენ (დირექტორი ამხ. მელაძე), რომელიც ცეკავშირს ორჯონიკიძის რაიონის ვერის საკოლმეურნეო ბაზარზე გაუხსნია. მივედით და აი რა ვნახეთ.

გასაყიდად გამოტანილი იყო ლობიო, რომელიც ლობიოს არ ჰგავდა. ავწონეთ 150 გრამი, შიგ 25 გრამი მიწა და ქვიშა აღმოჩნდა. ეს მიწანარევი ლობიო იყიდებოდა 7 მანეთად, მაშინ როცა ბაზარზე 5 მანეთი ღირდა საუკეთესო ლობიო. 300 კილოგრამი ვაშლი ეყარა საწყობში, ასევე ნახევრადდამპალი და გადასაყრელი. ერთ ტომარა ქერში ოთხკილოგრამიანი ქვა აღმოჩნდა. ერთი ტომარა ნიორი ჩახურებულიყო და გადასაყრელად გაეგზავნებინათ. ვეებერთელა კასრში ჩამპალიყო პამიდორის მწნილი.

უფრო მეტიც. აქ უხეშად არღვევდნენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს. თბილისბოსტნეულეკონომიის ბაზიდან გამოტანილ მცავე კიტრს დახლის მუშაკები გ. დოხნაძე და ტ. ხარატუროვი კილოგრამს 8 მანეთად ჰყიდნენ, მაშინ როდესაც კილოგრამი შეძენილი ჰქონდათ 1 მან. და 25 კაპიკად. ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს ბოლო უნდა მოეღოს.

საკოლმეურნეო ბაზრებში არსებულ უმსგავსობათა ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ კარტოფილის შერჩევა ზოგჯერ ხდება ნაცნობ-მეგობრობით, კადრები დანაგვიანებულია სასელგატეხილი, რომდენჯერმე ნასამართლევი მუშაკებით, საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკთა შორის დაბალ დონეზეა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატურად არ ხდება მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება.

მოსკოვის ცენტრალური ბაზრის კოლექტივის ძმამრთველ პასუხად თბილისის საკოლმეურნეო ბაზრები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ნაკლოვანებათა გამოსწორება და აღებულ ვალდებულებათა შესრულება მათი ღირსების საქმეა.

გ. ბიოკრგაძე,
კ. პაპახიძე,
კ. ბოკირიძე.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

კომუნისტები მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში

მეცხოველეობა ბოგდანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია, კოლმეურნეობათა შემოსავლის მთავარი წყაროა. კოლმეურნეობათა მუდმივ სარგებლობაში არსებული მაღალხარისხოვანი ალპური საძოვრები და ბუნებრივი სათიბები საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან კოლმეურნეთა შრომითს აღმავლობას მეცხოველეობის სწრაფი განვითარებისათვის.

გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. 1953 წლის 8 თვის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 6,8 პროცენტით, მათ შორის ძროხის სულადობა 9 პროცენტით, ცხვრისა—6 პროცენტით. რაიონმა წველადობის 1953 წლის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა. ყველა კოლმეურნეობა, როგორც წესი, მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო გეგმას ვადამდე, პირნათლად ასრულებს საკუთარი წარმოების პროდუქციით. შარშან სოფელ გორელოვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მეცხოველეობიდან მილიონ მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი მიიღო, აქედან ნახევარ მილიონ მანეთამდე მიღებული იქნა კოლმეურნეობის ჯიშიანი მეცხვლეობის ფერმიდან პირუტყვის რეალიზაციით.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ამ მხრივ რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან. თუ ამ ორი წლის წინათ ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხვედრითი წონა საერთო ჯოგში 50 პროცენტს არ აღემატებოდა, 1953 წლის ბოლოსთვის უკვე 70 პროცენტს გადააჭარბა. წელს წარმატებით ხორციელდება ღონისძიებანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეცხოველეობის ფერმების ხელმძღვანელი კადრების შერჩევას. მეცხოველეობის უუნარო ხელმძღვანელები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ფერმების მუშაობას, შეცვლილ იქნენ უფრო ენერგიული და საქმის მცოდნე მუშაკებით. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობების 23 სარძეო-სასაქონლო ფერმიდან 19 ფერმას კომუნისტები, ხოლო 2 ფერმას კომკავშირელები ხელმძღვანელობენ. მეცხვარეობის 23 ფერმიდან 19-ს კომუნისტები და კომკავშირელები უდგანან სათავეში.

პარტიის რაიკომი, ინსტრუქტორთა ჯგუფები სისტემატურად ეცნობიან თვითეული კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში წველადობის მდგომარეობას და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს პროდუქტიულობის გადიდებისათვის. რაიკომის ბიურომ მოისმინა მოწინავე მწველავების ვ. სავენკოვას და ვ. არზუმანიანის მოხსენებანი თავიანთი გამოცდილების შესახებ. ამხ. არზუმანიანს წელს უკვე ჩამოწველილი აქვს 1.000 კილოგრამზე მეტი რძე. მან იკისრა წლის განმავლობაში მოწველოს 3.000 კილოგრამი რძე. ბიურომ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა მათი გამოცდილება ფართოდ გაავრცელონ რაიონის მეცხოველეთა შორის. მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების დანერგვაში პარტიის რაიკომი ფართოდ იყენებს თავის ორგანოს — რაიონულ გაზეთს, რომელშიც ხშირად იბეჭდება წერილები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ფერმების გამგეებისა და ცალკეული მეცხოველეების მუშაობის შესახებ. ამასთანავე გაზეთი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს იმ მუშაკებს, რომლებიც კვლავ ძველებურად, ზერელედ ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის განვითარებას.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სოფელ ჯიგრაშენის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე კომუნისტი ა. კარაპეტიანი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ცხენები მოთავსებული იყო უხეირო ბინებში. ცუდი მდგომარეობა იყო ნამატის მოვლა-პატრონობის საქმეშიც. ფერმის ასეთი შეუწყნარებელი მდგომარეობისათვის მისმა გამგემ ა. კარაპეტიანმა სათანადო პასუხი აგო. მაგრამ მარტო ეს საქმეს ვერ უშველიდა. საკითხი განხილულ იქნა საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე. კრების მიერ მიღებული კონკრეტული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში ყველა კომუნისტი ჩაება. დღეისათვის ფერმაში მდგომარეობა გამოსწორებულია. ა. კარაპეტიანმა მინდობილი საქმისათვის მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო. მან მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი ცხენების მოვლა-პატრონობას. ამის შედეგად აქ პირუტყვის გამოზამთრებამ ნორმალურ პირობებში ჩაიარა.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება შეუძლებელია მიღწეულ იქნას ისე, თუ პირუტყვს კეთილმოწყობილი, თბილი და ნათელი ბინები არა აქვს, მით უფრო ბოგდანოვკის რაიონის პირობებში, სადაც პირუტყვის ბაგური კვება თითქმის 7 თვეს გრძელდება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ რაიონში მეტად სავალალო მდგომარეობაა. დღესდღეობით სტანდარტული კეთილმოწყობილი ბინებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მხოლოდ 40 პროცენტია უზრუნველყოფილი, პირუტყვის დანარჩენი სულადობა კი კერძო, დაქირავებულ სადგომებშია მოთავსებული. გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდად აძნელებს პირუტყვის მოვლა-პატრონობას და ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა გატარებას, იწვევს საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების განაავებას. ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა პირუტყვის ბინებით უზრუნველყოფის საქმეში არ შეიძლებოდა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ზრუნვის საგანი არ გამხდარიყო.

რაიონის კოლმეურნეობებში ფართოფრონტით გაიშალა და წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების მშენებლობა. შარშან დაწყებულ იქნა 2.000 სულის ტევადობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის 16 სტანდარტული სადგომის, 300 სულის ტევადობის 3 სახბორის, 100 სული ცხენისათვის ერთი ბინის, 1.000 ფრთა ფრინველისათვის 2 საქათმის, 5.000 სული ცხვრისათვის ფარეხების და სხვ. მშენებლობა. მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცეკავშირმა დროულად არ მოაწოდეს რაიონის კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით საშენი და სახურავი მასალები, დაწყებული ობიექტების მშენებლობა გაჭიანურდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 7 სტანდარტული სადგომი. წელს პირუტყვის 80 სადგომი უნდა აშენდეს. რაიონის კოლმეურნეობები უზრუნველყოფენ მშენებლობის ამ გეგმის შესრულებას, მხოლოდ საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცეკავშირმა კოლმეურნეობებს დროულად გამოუყონ და საკმაო რაოდენობით მიაწოდონ საშენი მასალა (ხე-ტყე, ცემენტი, სახურავი და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არც ერთი ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი არ გამოუგზავნია მტს-სა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. ეს მაშინ, როცა ბოგდანოვკის მტს-ის მომსახურების 14 კოლმეურნეობაში მომუშავე თორმეტივე ზოოტექნიკოსი და სამივე აგროტექნიკოსი საშუალო ან დაბალი განათლებით არის. არც ერთი ვეტერინარი ექიმი და ზოოტექნიკოსი არ არის ისეთ მსხვილ კოლმეურნეობაში, როგორიც ლენინის სახელობის კოლმეურნეობაა, სადაც 2.000-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 800-მდე ცხენი, 5.000-მდე სული ცხვარი ჰყავთ. ზოოვეტერინარულ მომსახურებას ასევე მოკლებული არიან სოფელ განძის ტერიანის სახელობის კოლმეურნეობა, ორლოვკის კოლმეურნეობა „ავანგარდი“, კალინინოს კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეტი დახმარება გაუწიოს ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. ისინი მეცხოველეობის კადრებთან მუდმივი და გულისხმიერი მუშაობის გზით აღწევენ პირუტყვის სულადობის და პროდუქტიულობის ზრდის გეგმების წარმატებით შესრულებას, საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ ნერგავენ აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს და მოწინავეთა გამოცდილებას, ზრუნავენ ფერმებში მექანიზაციის დანერგვისათვის.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის ბრძოლაში ავანგარდულ როლს ასრულებენ კომუნისტი მეცხოველეები, რომელთა უმრავლესობა 5-10 წელიწადია უცვლელად მუშაობს ფერმებში. მაგალითად, სოფელ პატარა ხანჩალის მეცხვარეობის ფერმის მწყემსმა კომუნისტმა ო. პოღოსიანმა, რომელიც 8 წელიწადია ფერმაში მუშაობს, 100 სულ დედაცხვარზე 110 სული ბატკანი მიიღო და შეინარჩუნა. ლენინის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში კომუნისტები ლ. კარსლიანი და მ. ბატურინი სათავეში უდგანან მშენებლობის მუდმივ ბრიგადებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მშენებლობის გეგმები. მეცხოველეთა თავდადებული შრომის შედეგად რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ცხვრის დოლი.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფერმებში შრომისა და მიღებული პროდუქტების აღრიცხვას, ამის შედეგად კარგად იცნობენ ფერმებში არსებულ მდგომარეობას, იცავენ თვითეული ძროხის პროდუქტიულობა, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ კორეის საკითხის შესახებ

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 11 მაისს

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დელეგატებო!

ამ თათბირზე კორეის საკითხის განხილვა მოწმობს, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება შეხედულებანი იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

აქ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩამოაყალიბა წინადადებანი კორეის როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის საკითხზე. ამ წინადადებებს მხარი დაუჭირეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და საბჭოთა კავშირმა. ამ წინადადებათა საფუძველია ის შეხედულება, რომ კორეის ერთიანობის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, თვითონ კორეელების საქმე, კორეელი ხალხის საქმეა. ამის შესაბამისად უარყოფილია ყოველგვარი ცდა თავს მოახვიონ კორეელ ხალხს მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებანი კორეის სახელმწიფოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. ვინც რა უნდა თქვას ამის თაობაზე, საბჭოთა მთავრობას სრული საფუძვლით შეუძლია განაცხადოს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეს პოზიცია შეესაბამება დემოკრატიზმის პრინციპებს და, ამასთანავე, შეესაბამება კორეელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და ეროვნულ უფლებებს.

ამ თათბირზე სხვა პოზიციაც ჩამოყალიბდა კორეის საკითხზე. ეს პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ კორეელ ხალხს თავს მოახვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია 1950 წლის 7 ოქტომბერს, როცა კორეაში ომი იყო გაჩაღებული. გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა პროტესტის მიუხედავად, სცადეს მხარი დაეჭირათ აგრესიული გეგმებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ფაქტიური კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ არა მარტო სამხრეთი კორეა, არამედ ჩრდილოეთი კორეაც. გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებით შეიქმნა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია“. ამასთან დაისახა ამოცანა უზრუნველეყოთ ეგრეთწოდებული „მყარი მდგომარეობა“ არა მარტო სამხრეთ კორეაში, არამედ „მთელ კორეაში“, ესე იგი სცადეს განეხორციელებინათ მთელი კორეის სამხედრო ოკუპაცია და გაემართლებინათ ამერიკის აგრესიის გაფართოება შორეულ აღმოსავლეთში. ამ უკანონო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაპყრობითს მიზნებს ისახავდა, მტკიცე პროტესტი განაცხადა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

როცა ახლა აქ კვლავ გამოდიან და დაჟინებით მოითხოვენ ამ უკანონო გადაწყვეტილების განხორციელებას, ამით ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით დაფარონ აგრესიული სახელმწიფოთა დაპყრობითი გეგმები კორეის მიმართ. დაჟინებით მოითხოვენ რა გენერალური ასამბლეის ამ უკანონო გადაწყვეტილების განხორციელებას, სურთ ახლანდელი მოლაპარაკების დროს მიაღწიონ იმას, რასაც ძალით ვერ მიაღწიეს კორეაში სამი წლის ომის დროს.

I

კორეის საკითხი და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ყოველივე ამის გამო საჭიროა განსაკუთრებით ვილაპარაკოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლზე კორეის ამბებში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ თათბირზეც ხშირად ყალბად აშუქებენ ყველასთვის ცნობილ ფაქტს, რომელიც კორეის ამბებს შეეხება.

ნამდვილად კი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, არასოდეს არ ყოფილა ჩაყენებული ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში, როგორც კორეის ამბების დროს. ფაქტები მოწმობენ, რომ ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც კორეაში საკუთარი მიზნები აქვთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი გამოიყენეს ისეთი მიზნებისათვის, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესებთან, უფლებებთან და მიზნებთან. ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვის დროს უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ განვითარდა კორეის ამბები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

1945 წლის ზაფხულში, მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეთა შორის შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა ჯარები შევიდნენ კორეის ტერიტორიაზე, რომელიც 38-ე პარალელის ჩრდილოეთით მდებარეობს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები — 38-ე პარალელის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე. ამ ჯარების ამოცანა იყო მიეღოთ იაპონიის ჯარების კაპიტულაცია, რომლებიც ამის წინ საბჭოთა არმიამ გაანადგურა მანჯურიის ტერიტორიაზე, და ამრიგად დახმარებოდნენ კორეელ ხალხს განთავისუფლებულიყო იაპონელთა ოკუპაციისაგან, რაც მანამდე თითქმის 40 წელს გრძელდებოდა. ბუნებრივია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ გაერთიანების პირობების საკითხს ასეთი მდგომარეობის შედეგად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

კორეის გაერთიანების საკითხი აღიძრა ჯერ კიდევ 1945 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კორეის შესახებ წარმოადგინა გეგმა, რომელმაც ერთბაშად დაგვანახვა, რომ იმ დროს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის არ არსებობდა დამოუკიდებელი კორეის სახელმწიფოს აღდგენის საკითხი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს, რომ კორეის მიმართ 5-10 წლით დაარსებულიყო ოთხი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჩინეთისა და სსრ კავშირის) მეურვეობა. ამ ოთხ სახელმწიფოს უნდა შეექმნა თავისი განსაკუთრებული ორგანო მთელი კორეის მართვა-გამგეობისათვის. ეს გეგმა უარყო საბჭოთა კავშირმა.

სსრ კავშირის მტკიცე მოთხოვნით მოსკოვის 1945 წლის 27 დეკემბრის თათბირმა მიიღო შემდეგი ძირითადი გადაწყვეტილება:

„კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის მიზნით, დემოკრატიულ საწყისებზე მისი განვითარების პირობების შესაქმნელად და კორეაში იაპონელთა ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველი შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის იქმნება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარს კორეის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის და კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის“.

პრაქტიკულად რომ განხორციელებულიყო მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილება, რომელსაც ჩინეთის მთავრობაც შეუერთდა, შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია, რომელშიც შევიდნენ კორეაში მყოფი საბჭოთა ჯარებისა და ამერიკის ჯარების სარდლობის წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ, მაგრამ არ დაადგა იმ გზას, რომელიც ამ გადაწყვეტილების განხორციელებას უზრუნველყოფდა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია 1946 და 1947 წლების მანძილზე რამდენჯერმე შეიკრიბა სეულში ამ საკითხის განსახილველად. მაგრამ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ფაქტიურად ამერიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ გაექარწყლებინათ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დემოკრატიული ორგანიზაციების როლი ერთობლივ კომისიასთან კონსულტაციაში. სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე ისინი ეყრდნობოდნენ ხალხისაგან მოწყვეტილ ვიწრო რეაქციულ ჯგუფებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ხალხის დემოკრატიულ მისწრაფებათა ჩახშობით. ეს ჯგუფები გამოიყენეს იმისათვის, რომ შეეფერხებინათ რაიმე გადაწყვეტილების მიღება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ. იმ პოზიციის შედეგად, რომელიც ამერიკის წარმომადგენლებმა დაიკავეს, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ ვერ მიიღო რაიმე გადაწყვეტილებანი კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხზე.

ამ დროიდან იწყება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდები — გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი იმისათვის, რომ კორეაში საქმის ვითარება მისთვის სასურველი მიმართულებით წარიმართოს. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატები ანგარიშს აღარ უწევდნენ მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი. ანგარიშს აღარ უწევდნენ იმასაც, რომ კორეის საკითხი, როგორც ომის შედეგებთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხი, არ შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციაში, რაც პირდაპირ გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107 მუხლიდან.

1947-1949 წლების მანძილზე ამერიკის დელეგატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია თავიანთი მიზნებისათვის. მიუხედავად საბჭოთა კავშირის და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების პროტესტებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ უკანონოა კორეის საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამერიკის დელეგატებმა გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს კორეის საკითხის განხილვა. ასე დაიწყო პირველი ეტაპი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის გამოყენებისა კორეის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო ჩარევისათვის.

ამასთან საქმე განისაზღვრა ორგვარი ღონისძიებებით, რომელთა დაუშვებლობა ცხადია.

კორეის საკითხთა კომისია, რომელიც გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა, არსებითად იძულებული იყო დაედასტურებინა, რომ სამხრეთ კორეაში არსებობს ლი სინ მანის ხროვის ანტიდემოკრატიული, გამყიდველი, ტერორისტული რეჟიმი. მაგრამ ამ კომისიამ ამასთანავე იკისრა ამ ანტისახალხო რეჟიმის მფარველის როლი. საქმე იქამდე მივიდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა კომისია მეთვალყურის როლსაც კი ასრულებდა სამხრეთ კორეაში ინსცენირებულ „პარლამენტის არჩევნებში“, თუმცა ეს არჩევნები კორეის ხალხის, მისი უფლებებისა და დემოკრატიზმის ელემენტარული ნორმების ნამდვილი პოლიციური დაცინვა იყო. მეორე მხრივ, ამ კომისიამ სცადა თავისი საქმიანობა ჩრდილოეთ კორეაშიც გაევრცელებინა. ეს იყო იმის ცდები, რომ ანტისახალხო, სამხრეთ კორეის რეჟიმი გაევრცელებინათ მთელ კორეაზე. მაგრამ ყველა ასეთ განზრახვას მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ჩრდილოეთ კორეის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდებთან ერთად, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიმართავდა, ლი სინ მანი უკვე აშკარად იმუქრებოდა, რომ დაიწყებდა ომს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. მაგალითად, 1949 წლის სექტემბერში ლი სინ მანი ამერიკელი პროფესორის ოლივერისათვის გაგზავნილ წერილში ამტკიცებდა, რომ „ახლა ფსიქოლოგიურად ყველაზე შესაფერისი მომენტია იმისათვის, რომ მივიღოთ აგრესიული ღონისძიებანი და შევუერთდეთ კომუნისტური არმიის ჩვენს მიმართ ლოიალურ ნაწილს ჩრდილოეთში, რათა მოვსპოთ მისი დანარჩენი ნაწილი“. 1949 წლის 30 დეკემბერს ლი სინ მანმა აშკარად განაცხადა, რომ ახალ წელს (ესე იგი 1950 წელს) ის მიზნად ისახავს ჩრდილოეთ კორეის დაპყრობას. იგი მაშინ აცხადებდა, რომ „ახალ წელს საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით ჩვენი ძალებით უნდა გავაერთიანოთ სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეა“. ასე მომამზადეს ლისინმანელებმა კორეის ომი, მოქმედებდნენ რა ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით.

გარედან თავს მოხვეული ომი კორეაში 1950 წლის ივნისში ატყდა. ეს ომი გადაიქცა სამი წლის სამხედრო ინტერვენციად ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ. ამასთან ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ეს ომი შეენიღბათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

ამ დროიდან დაიწყო მეორე ეტაპი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის გამოყენებისა იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოეხდინათ უკანონო და ამასთან აშკარად აგრესიული ჩარევა კორეის საქმეებში, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კორეის ომში.

საქმის ნამდვილი ვითარება კი შემდეგი ფაქტებიდან ჩანს.

1950 წლის 27 ივნისს პრეზიდენტმა ტრუმენმა გამოაცხადა, რომ მან უბრძანა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ჩაბმულიყვნენ ომში ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. ამას გარდა, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იმყოფებოდა, ებრძანა „აღეკვეთა ფორმოზაზე (ტაივანზე) თავდასხმა“, რაც ჩინეთის კუნძულ ტაივანის ფაქტიურ ოკუპაციას მოასწავებდა. ეს ნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აგრესიის მომზადების პოლიტიკიდან გადავიდა აგრესიის პირდაპირ აქტებზე და დაადგა კორეისა და ჩინეთის საქმეებში აშკარა ჩარევის გზას.

მხოლოდ პრეზიდენტ ტრუმენის ამ ბრძანების შემდეგ, რომელმაც ამერიკის აგრესია დაიწყო კორეაში, 27 ივნისს შეიკრიბა უშიშროების საბჭო და თავისი რეკომენდაციები გამოიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ ამ ომში, რაც დახატეს როგორც დახმარება სამხრეთ კორეის რეჟიმისადმი. როგორც უშიშროების საბჭოს 27 ივნისის გადაწყვეტილება და 25 ივნისის გადაწყვეტილება, რომელიც მას წინ უძღოდა, ისე უშიშროების საბჭოს 1950 წლის ივლისის გადაწყვეტილებანი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა და ამიტომ უკანონო. მათ არ შეეძლება კანონიერი ძალა ჰქონოდათ, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებათა მიღებას არ ესწრებოდნენ უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამავე დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს შეიძლება კანონიერი ძალა ჰქონდეთ ომისა და მშვიდობის საკითხებში მხოლოდ მაშინ, თუ მათ მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა და თუ ამ უმრავლესობაში შედის უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ უშიშროების საბჭოში არ არის წარმომადგენელი ჩინეთისა, რომლის ინტერესებს ესოდენ უშუალოდ ეხება კორეის ომი. აღნიშნულ გადაწყვეტილებებში გომინდანელთა წარმომადგენლის მონაწილეობა მხოლოდ ხაზგასმით აღინიშნავს მათ უკანონობას.

აქ იმოწმებდნენ უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებებს და ამართლებდნენ მთელი რიგი სახელმწიფოების მონაწილეობას კორეის ომში, მაგრამ უშიშროების საბჭოს ეს უკანონო გადაწყვეტილებანი არ შეიძლება მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებად. ამიტომ მთელი რიგი სახელმწიფოების მონაწილეობა კორეის ომში მხოლოდ ინიღბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით. უშიშროების საბჭომ ეს გაკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, ვინაიდან ამერიკის აგრესიულ წრეებს ესაჭიროებოდათ ასეთი შენიღბვა.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა ბევრი განცხადება გააკეთეს, რომლებითაც მხილებული იყო კორეის ომში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის ნამდვილი მიზეზები. მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა გენერალმა ვან ფლიტმა 1952 წლის იანვარში აშკარად განაცხადა: „რომელიმე კორეა უნდა ყოფილიყო ან აქ, ან მსოფლიოს რომელიმე სხვა ნაწილში“. იგი ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას ამ ომში იმით, რომ კორეის ომმა შექმნა მდგომარეობა, როცა „ჩვენი ქარხნები ახლა კვლავ აწარმოებენ იარაღს სულ უფრო მზარდი რაოდენობითო“. სავსებით ცხადია, რომ კორეის ომმა ხელი შეუწყო გამალებული შეიარაღების პოლიტიკის განხორციელებას, ეს კი ფრიად ხელსაყრელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეებისათვის.

1950-1953 წლების განმავლობაში, სანამ მოხდებოდა დაზავება კორეაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი კორეის საკითხზე. მას შემდეგ, რაც, დაწყებული 1950 წლის აგვისტოდან, საბჭოთა კავშირმა კვლავ დაიწყო მონაწილეობა უშიშროების საბჭოს სხდომებში, შეუძლებელი გახდა ამერიკის აგრესია კორეაში შეენიღბათ უშიშროების საბჭოს ალმით. ამ დროიდან შესანიღბავად მოქმედება დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, რამაც ცოტად როდი შეარყია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ყველა ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ კორეელი ხალხის ინტერესებს და ამ გადაწყვეტილებათა განხილვაში არ მონაწილეობდნენ კორეელი ხალხის წარმომადგენლები. საკმარისია აღინიშნოს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს არც ერთხელ არ მოუსმინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის პრობლემის განხილვის დროს.

ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ომის მონაწილეთა რიცხვში, გარდა სამხრეთ კორეისა, ითვლება 16 სახელმწიფო, მათ შორის: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი, თურქეთი, კოლუმბია, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ტაილანდი, ფილიპინები და ეთიოპია. ქვეყნების ჩამოთვლა ცხადყოფს, რომ ომის აღნიშნულ მონაწილეთა უმრავლესობა ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებსაც კოლონიები აქვთ ან დაინტერესებული არიან კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებით. შემთხვევითი როდია, რომ ამ ომში თითქმის არ მიუღიათ მონაწილეობა აზიის ქვეყნებს. მაგალითად, მონაწილეობა არ მოისურვა ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალმა აზიის არც ერთმა სახელმწიფომ. რაც შეეხება აზიის ცალკეულ ქვეყნებს, რომლებმაც მაინც მიიღეს მონაწილეობა ამ ომში, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ისინი ეკუთვნიან იმათ, რომლებიც საქმით ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ დამოუკიდებლობის მინიმუმით თავიანთ მოქმედებაში ან კაბალურად დამოკიდებული არიან მთავარ აგრესიულ სახელმწიფოებზე.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ იმ ჯარებს, რომლებიც შეიჭრნენ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხოლოდ აბრა ჰქონდათ. ნამდვილად კი უცხოეთის ჯარები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ომში, ყოველ შემთხვევაში ცხრა მეათედით მაინც შედგებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისაგან.

ყველა დანარჩენმა 15 სახელმწიფომ გამოიყვანა კორეის ომის მონაწილე უცხოეთის შეიარაღებული ჯარების სულ ბევრი ერთი მეათედი. მათი მონაწილეობა მხოლოდ ნიღბავდა ამერიკის აგრესიას, მხოლოდ საფარი იყო კორეაში. აქედან აგრეთვე ჩანს, თუ ვის ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ომის წარმოების იმ განსაკუთრებით სასტიკი, ბარბაროსული და არაადამიანური ხასიათისათვის, რომლის შესახებ თავის დროზე მოყვანილ იქნა ესოდენ მრავალი ფაქტი. მაგრამ ეს ვერ ანელებს სხვა იმ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის ავანტიურაში.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ასევე იმ ფაქტებს, რომლებიც შეეხება უკვე კორეაში დაზავების დადების შემდგომ პერიოდს. როგორც ცნობილია, დაზავების დადებისთანავე დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1953 წლის 1 ოქტომბერს სახელწოდებით „ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კორეის რესპუბლიკას შორის“. მაგრამ ყველასათვის გასაგებია, რომ ამ სამხედრო შეთანხმების აზრი არის არა სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების „ურთიერთთავდაცვის“ უზრუნველყოფა, არამედ სულ სხვა რამ. ამ შეთანხმებით ამერიკის აგრესიულ წრეებს სურთ უზრუნველყონ თავისთვის კიდევ ერთი სამხედრო პლაცდარმი, რათა მომავალშიც ემუქრებოდნენ როგორც ჩრდილოეთ კორეას, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც. ეს ხელშეკრულება ახლა ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გაერთიანების გზაზე.

დადეს რა სამხრეთ კორეასთან ხელშეკრულება „ურთიერთთავდაცვის“ შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები აღარ ცდილან ამოფარებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს. ისინი ამჯერად ისე მოქმედებდნენ, რომ რაც შეიძლება უფრო თავისუფალი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევისათვის, თუ მიზანშეწონილად იქნებოდა მიჩნეული ახალი აგრესიის დაწყება კორეის ნახევარკუნძულზე.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიყვანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ იმ ფაქტებიდან, რომლებიც ეხება კორეის ომს?

ეს დასკვნები ამკარაა.

უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მთელ რიგ უკანონო მოქმედებათა შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კორეაში მეომარი მხარე გახდა. ფაქტიურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი აქ გამოიყენეს მხოლოდ ამერიკის აგრესიის შესანიღბავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაქცევამ მეომარ მხარედ მთელი მსოფლიოს ხალხების თვალში დიდად შელახა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტი. შექმნილ მდგომარეობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაკარგა შესაძლებლობა იმოქმედოს როგორც მიუკერძებელმა საერთაშორისო ორგანომ და უკვე არ შეუძლია შეასრულოს ობიექტური ფუნქციები კორეის საკითხის გადაჭრაში.

II

ჟენევის თათბირის ამოცანები

როგორც ცნობილია, დაზავება კორეაში მიღწეულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ინიციატივით. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირმა.

მაგრამ დაზავების შემდეგაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს ზეგავლენის გამო, უძლური აღმოჩნდა, როცა საქმე მიდგა დაზავების პირობების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაზავების პირობებში მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ვერ უზრუნველყო ამ კონფერენციის მოწვევა, რადგან მისი გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე არ შეესაბამებოდა დაზავების შესახებ შეთანხმების შინაარსს. აგრეთვე ცნობილია, რომ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების სამშობლოში თავისუფალი დაბრუნების საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი ისე, როგორც ამას მოითხოვს შეთანხმება დაზავების შესახებ. იმ წინადადებათა მიღება, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შემოიტანა ამ საკითხზე, დააკმაყოფილებდა შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებათა მოთხოვნებს.

მხოლოდ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა, რომელმაც გამოაქვეყნა ბერლინის 18 თებერვლის კომუნიკე, შესაძლო გახადა ჟენევის ამ თათბირის მოწვევა კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად. საბჭოთა დელეგაცია მთლიანად იზიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჟენევის თათბირს კორეისა და ინდოჩინეთის საკითხებზე არა აქვს დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. ეს თათბირი მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ და არის დაკავშირებული გენერალური ასამბლეის რაიმე გადაწყვეტილებასთან.

ჟენევის თათბირი მოწვეულია ორ საკითხზე: კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ. ჟენევის თათბირის თავისებურებაა ის უდავო ფაქტი, რომ მხოლოდ ხუთი სახელმწიფო — საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სსრ კავშირი — იღებს მონაწილეობას ორივე საკითხის განხილვაში. ეს ცხადყოფს, იმ სახელმწიფოების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ხსენებული დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისათვის. სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ჟენევის თათბირს ესწრებიან, მონაწილეობას იღებენ ამ საკითხთაგან მხოლოდ ერთ-ერთის — ან კორეის, ან ინდოჩინეთის საკითხის განხილვაში, რაც არ ამცირებს შესაბამისი საკითხის განხილვაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობას. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები — არ გაუწიოს ანგარიში შექმნილ მდგომარეობას, როცა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დელეგაციებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟენევის თათბირისათვის, არ შეიძლება გამართლებულ იქნას. ასეთი ცდები მით უფრო უსაფუძვლოა, რომ სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს ხუთი დიდი სახელმწიფოს, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იმ საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ამ თათბირზე მთელი რიგი დელეგაციები ცდილობენ იმით განსაზღვრონ საქმე, თითქოს ჟენევის თათბირი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საჭიროა შესრულდეს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი კორეის საკითხზე, რომლებიც ასამბლეამ მიიღო 1950 წლის 7 ოქტომბერს, როცა კორეაში გაჩაღებული იყო ამერიკის აგრესია. ამასთან არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორია გენერალური ასამბლეის ის გადაწყვეტილებანი, რომლის უკანონობა მე უკვე აღვნიშნე.

გენერალური ასამბლეის 1950 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი კომისია იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომელთა უმრავლესობა კორეაში ამერიკის აგრესის მონაწილეა. ეს იქიდან ჩანს, რომ კომისიის 7 წევრის შემადგენლობაში შედის 5 შემდეგი სახელმწიფო: ავსტრალია, ჰოლანდია, თურქეთი, ტაილანდი და ფილიპინები, რომელთა ჯარები ამერიკის ჯარებთან ერთად შეიჭრნენ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე. სწორედ ამ კომისიას დაევალა „გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები მთელ კორეაში მყარი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად“, რაც გულისხმობდა „არჩევნების მოწყობასაც“. გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ეს კომისია დაეყრდნობა „გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს“ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კორეაშიც. გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებას, რომლის შესრულებასაც მოითხოვდა აქ გამოსული დელეგატების უმრავლესობა, ის აზრი აქვს, რომ სამხედრო ოკუპაციის გზით თავს მოახვიოს მთელ კორეას სამხრეთ კორეის ლისინმანური რეჟიმი.

ეს, როგორც ცნობილია, ვერ მოახერხეს შეიარაღებული ძალის საშუალებით, სამი წლის აგრესიული ომის საშუალებით. ნუთუ ამის შემდეგ გასაგები არ არის, რომ არ შეიძლება იმედი ჰქონდეთ მიაღწიონ ჟენევის მოლაპარაკებაში იმას, რაც ძალით ვერ მოახვიეს თავს კორეელ ხალხს? ყოველ შემთხვევაში თვით კორეის პრობლემის განხილვას ჟენევის თათბირზე უნდა დაეწყოთ ინა ამაში ისინი, ვინც ისე გვიჩვენებს თავს, თითქოს ეს არ ესმოდეს.

მაგრამ ჟენევის თათბირზე წარმოდგენილი იყო კორეის ერთიანობის აღდგენისა და მთელი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების სხვა გეგმა

ერთხელ კიდევ კორეის საკითხის შესახებ

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 11 მაისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

წინადადებას, რომ უცხოელთა მთელი ჯარები კორეიდან გაიყვანონ ექვს თვეში. მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა უკვე ილაპარაკა, რომ კორეიდან უცხოელთა ჯარების გაყვანის ვადის საკითხი უნდა დაზუსტდეს და შესაბამისად შეთანხმებულ იქნას. საეჭვოა საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ სამართლიანია წინადადება, რომ კორეიდან უცხოელთა ჯარები გაიყვანონ, სანამ მთელ კორეაში თავისუფალი არჩევნები მოეწყობოდეს. უცხოელთა ჯარების იქ ყოფნის დროს, ამასთან იმ ჯარებისა, რომლებიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ ომში მონაწილეობდნენ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას კორეელი ხალხის ნების გამოცხადების სრული თავისუფლება სრულიად კორეის პარლამენტის არჩევნებში, რომელმაც უნდა შექმნას გაერთიანებული კორეის დემოკრატიული მთავრობა. აქედან ჩანს, რომ უცხოელთა ჯარების გაყვანა წინ უნდა უძღოდეს სრულიად კორეის არჩევნებს. სრულიად კორეის არჩევნები რომ არ გადაიდოს, რაც შეიძლება მოკლე ვადა უნდა დაწესდეს ამ ღონისძიების განსახორციელებლად.

მესამე. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფით, იკისრონ ვალდებულება — უზრუნველყონ კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარება. სახელმწიფოებს შორის ასეთ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს კორეელი ხალხისათვის. ამ შეთანხმებამ უნდა აღკვეთოს იმის ყოველგვარი ცდა, რომ ახალი ომი დაიწყონ კორეაში. რადგან აქ თათბირის ყველა მონაწილე აცხადებს, რომ ისწრაფვის უზრუნველყოს კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარება, აღარ უნდა იყოს აღნიშნული შეთანხმების მიღწევის დაუძლეველი დაბრკოლება. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ ამოცანის შესრულებაში და შესაბამისი ვალდებულებანი იკისროს კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მაშასადამე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროექტი კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგების ნათელ და ფართო შესაძლებლობას ქმნის. იგი უზრუნველყოფს, რომ კორეის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთიანობა აღდგენილ იქნას დემოკრატიულ საწყისებზე, მოისპოს უცხო სახელმწიფოთა ყოველგვარი ზეგავლენა კორეის საშინაო საქმეებზე და ამასთანავე ქმნის უშიშროების საგარეო პირობებს იმისათვის, რომ კორეა ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გაერთიანდეს მყარი, საიმედო მშვიდობის ვითარებაში.

ყველაზე მეტი დავა გამოიწვია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებამ, რომ შეიქმნას სრულიად კორეის კომისია კორეის ეროვნული კრების სრულიად კორეის არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად და ისეთ გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ეკონომიური და კულტურული დაახლება. ამასთან სადავოდ მიიჩნიათ ის, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან შექმნილი ასეთი სრულიად კორეის კომისია მისთვის მინდობილ საკითხებს წყვეტდეს ორივე მხარის სურვილების შეთანხმების წესით. მაგრამ ასეთი შეთანხმების საჭიროების უარყოფა იმას ნიშნავს, რომ უარვყოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დემოკრატიულ საწყისებზე გაერთიანების თვით შესაძლებლობა და დავადგეთ იმ უიმედო ცდების გზას, რომ ერთ მხარეს თავს მოვახვიოთ მეორე მხარის ნება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა გმირულ ბრძოლას ეწეოდა და უდიდესი მსხვერპლი გაიღო თავის დემოკრატიულ მონაპოვარზა დასაცავად. ვინ დაიჯერებს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შეიძლება ხელი ავაღებინოთ თავის უფლებებსა და დემოკრატიულ მონაპოვარზე, რაც გარდუვალი იქნებოდა, ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეის ახლანდელ რეჟიმს რომ ემორჩილებოდეს.

რით აიხსნება, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უნარიანი აღმოჩნდა უცხოელთა აგრესიისა და სამხრეთ კორეის რეჟიმის წინააღმდეგ ასეთი თავდადებული ბრძოლისათვის?

ამისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები.

როგორც ცნობილია, კორეის მოსახლეობის ძირითად მასას გლეხები შეადგენენ. იაპონელ კოლონიზატორთა უღლისაგან კორეის განთავისუფლებისთანავე კორეელ გლეხთა წინაშე კორეის ჩრდილოეთში დაისახა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, მათი ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობანი, რომლებიც წინათ არ ყოფილა. ჩრდილოეთ კორეის გლეხთა ხელში გადავიდა ყოფილ იაპონელ მემამულეთა და მათ მაშინდელ კორეელ მსახურთა მიწები. 700 ათასზე მეტმა უმიწაწყლო და მცირემიწიანმა გლეხურმა მეურნეობამ უსასყიდლოდ მიიღო ერთ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წინათ ეკუთვნოდა იაპონელ კოლონიზატორებსა და მათს დამქაშებს, რომლებიც ჩაგრავდნენ და ძარცვავდნენ გლეხებს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ განამტკიცა ჩრდილოეთ კორეის გლეხთა ეს მნიშვნელოვანი დემოკრატიული მონაპოვარი.

სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სამხრეთ კორეის გლეხები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საქმეთა კომისიის მონაცემებითაც კი ცნობილია, რომ იაპონელთა ოკუპაციის დროს მიწის 40 პროცენტი სამხრეთ კორეაში იაპონელ დამპყრობლებს ეკუთვნოდათ. სხვა ცნობებით, მათ ეკუთვნოდათ გაცილებით უფრო მეტი — კორეის მიწის ფართობების ორ მესამედამდე. მაგრამ იაპონელი მილიტარისტების განდევნის შემდეგაც კი ეს მიწა სამხრეთ კორეაში იმ მმართველი წრეების ხელში გადავიდა, რომელთა უმრავლესობაც წინათ იაპონიის დამქაშები იყვნენ. გლეხები, თუ შევეხებით სამხრეთ კორეის წვრილ და საშუალო გლეხთა ძირითად მასას, იაპონელი ოკუპანტების განდევნის შემდეგაც არ აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე წინათ იყვნენ. ძნელი გასაგები არ არის, რომ ჩრდილოეთ კორეის გლეხებმა არ მოისურვეს, რომ ასეთი წესები კორეის სამხრეთ ნაწილიდან ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებულიყო.

ჩრდილოეთ კორეაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამ გამოიწვია ახალი სახელმწიფოს ხელში გადაცემა მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც წინათ მეტწილად იაპონელ ოკუპანტებს ეკუთვნოდათ, 8 საათის სამუშაო დღის დაწესება, ისეთი ეკონომიური პირობების შექმნა, რომელთა დროსაც მუშებს უმუშევრობისა და შიმშილის შიში არ ექნებოდათ და შეიძლებოდა დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი და ხელფასით. მაშინ, როცა ჩრდილოეთ კორეაში სულ უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა გლეხების, მუშებისა და ინტელიგენციის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მშრომელთა მდგომარეობა სამხრეთ კორეაში ისეთივე რჩებოდა, როგორიც წინათ იყო. სამხრეთ კორეის მოსახლეობას საქმის გაუმჯობესების არავითარი იმედი არ ჰქონდა სამხრეთ კორეის ლისინმანელთა რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების პირობებში ჩრდილოეთ კორეაში გაჩაღდა ფართო ღონისძიებანი კულტურული მშენებლობის დარგში; გაიხსნა მრავალი დაწყებითი და საშუალო სკოლა; შეიქმნა 15 უმაღლესი სასწავლებელი, რაც სრულიად არ ყოფილა იაპონელთა ოკუპაციის დროს. ამავე დროს სამხრეთ კორეაში არც ეკონომიურ და არც კულტურულ დარგში ლისინმანელთა რეჟიმს არ განუხორციელებია ხალხის სასარგებლოდ რაიმე არსებითი ღონისძიებანი.

ყოველივე ამით აიხსნება ის, თუ რატომ იცავდა ასეთი სიმტკიცითა და ენთუზიაზმით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მონაპოვარს გარეშე აგრესიის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ არ შეიძლება აიძულო ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა უარი თქვას სახალხო-დემოკრატიული წყობილების მონაპოვარზე და რომ ცდები — გაევრცელებინათ სამხრეთ კორეის რეჟიმი ჩრდილოეთ კორეაზე — არ შეიძლებოდა არ წასწყდომოდა მტკიცე წინააღმდეგობას.

სად უნდა ეძებოს კორეელმა ხალხმა გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან?

გამოსავალი შეიძლება გამოინახოს კორეის გაერთიანებაში დემოკრატიულ საწყისებზე, ხოლო ამისათვის საჭიროა შეიქმნას სრულიად კორეის კომისია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან, რომლებსაც აირჩევენ შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრება და კორეის რესპუბლიკის ეროვნული კრება, ისე, რომ ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის უდიდესი დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. თუ ჟენევის თათბირი ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ისეთი პირობებით, რომლებიც შესაძლებელს გახდიან დემოკრატიულ თავისუფლებათა, მათ შორის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ მონაპოვართა შენარჩუნებას, და, ამასთან ერთად, საჭიროდ იქნება ცნობილი ანგარიში გაეწიოს სამხრეთ კორეის მდგომარეობის თავისებურებებს, ასეთი შეთანხმების მიღწევა შესაბამისი იქნება როგორც კორეელი ხალხის ინტერესებისა, ისე სხვა ხალხების მისწრაფებებისა მშვიდობისა და დემოკრატიული რეფორმებისადმი.

ჟენევის თათბირის მონაწილეებს არ შეუძლიათ დაივიწყონ, მაგალითად, ისეთი ფაქტები, როგორიც არის სამხრეთ კორეის ვიცე-პრეზიდენტის კიმ სონ სუს გამოსვლა, რომელმაც ბრალად დასდო პრეზიდენტ ლი სინ მანს და მის მთავრობას ძალაუფლების დაპყრობა, ეროვნული კრების პოლიციური დარბევა და, გადადგა რა სამსახურიდან, 1952 წლის 30 მაისს განაცხადა: „სასირცხოდ მიმაჩნია ვხედავდე ჩემს გვარს ლი სინ მანის ბიუროკრატიული დიქტატორული და მოღალატური მთავრობის სიაში“. შეიძლებოდა ბევრი ფაქტი მოგვეყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა სხვადასხვა კომისიის მოხსენებებიდან და სხვადასხვა ქვეყნის არაკომუნისტური პრესის მრავალი ცნობიდან, რომლებიც ადასტურებენ კიმ სონ სუს მოყვანილ განცხადებას, აგრეთვე სამხრეთ კორეის მეორე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ლი სი ენისა და ბევრ სხვა პირთა განცხადებას, რომ სამხრეთ კორეის ლისინმანელთა რეჟიმი ანტიხალხური, ტერორისტული და მოღალატური რეჟიმია. და ეს ნახევრადფაშისტური რეჟიმი სურთ თავს მოახვიონ ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობას, რომელმაც იცის, თუ რა არის დემოკრატიული რეფორმები, ეროვნული კულტურის აღმავლობა, ხალხის თავისუფლების სიკეთე! სავსებით ნათელია, რომ ასეთი გეგმები განუხორციელებელია და ისინი მტკიცედ უნდა დაგმოს მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა ნამდვილმა მომხრემ.

III

კორეის საკითხი და აზიის ხალხები

ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვისადმი მიპყრობილია ხალხთა ყურადღება. უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა ითქვას აზიის ხალხებზე.

მართალია ის, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ კორეას იაპონელ ოკუპანტთა კოლონიური უღელი ედგა და ეს გრძელდებოდა თითქმის 40 წელიწადს. მაგრამ მართალია ისიც, რომ ახლა კორეა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკის ობიექტად იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც მიჩვეული არიან კოლონიების მართვას და კოლონიური რეჟიმების დამყარებას. კორეელი ხალხი, ისევე როგორც აზიის ბევრი სხვა ხალხი, გამოვიდა დემოკრატიული განვითარების დიდ გზაზე. ხოლო ის ადამიანები, რომლებსაც არ ძალუძთ შეიგნონ აზიაში მომხდარი ისტორიული ცვლილებანი, ფიქრობენ, თითქოს ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული წყობილება ვინმეს მიერ არის თავსმოხვეული გარედან, და ვერ ხედავენ იმას, რომ ეს ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება ემყარება კორეელი ხალხის აქტიურ მხარდაჭერას. ეს ჩანს უკვე იქიდან, რომ ისინი, ვინც კორეელ დემოკრატებს დახმარებას უწევენ, რათა ჩრდილოეთ კორეაში შექმნან ახალი საზოგადოებრივი წყობილება, დიდი სიყვარულით და ურყევი ნდობით სარგებლობენ კორეელი ხალხის ფართო წრეებში. სულ სხვა მდგომარეობაა სამხრეთ კორეაში, სადაც თავიდან ბოლომდე დამპალ ანტიხალხურ მექრთამე ლისინმანელთა რეჟიმს თავის მთავარ დასაყრდენად უცხოეთის ხიშტები მიაჩნია. გასაგებია, მას სურს, რომ სამხრეთ კორეაში რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ უცხოეთის ჯარები. გასაგებია, რომ იგი წინააღმდეგია ისეთი წინადადებებისა, რომელთა მიზანია კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის დაჩქარება.

ყველა ხედავს, რომ კორეის საკითხის გადაჭრა მშვიდობისა და დემოკრატიის დამყარების სულისკვეთებით ახლა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე. თუ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კორეის საკითხში კვლავაც დაეყრდნობა ზოგიერთი გენერლის სამხედრო გეგმებს, რომლებისთვისაც გაუგებარია აზიის ქვეყნებში მომწიფებული დემოკრატიული რეფორმები, — ასეთი პოლიტიკა ხელს ვერ შეუწყობს კორეის პრობლემის მოწესრიგებას და არ შეიძლება არ ჩაიფუშოს. ასეთი პოლიტიკა ნიადაგს ვერ მოიპოვებს აზიის ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების შეცვლილ პირობებში.

პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე ახორციელებდნენ კორეის საკითხში, მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინებაა იმ ძირითადი პოლიტიკური გეზისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ადგანან აზიის ქვეყნების მიმართ. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ამ წრეების დამოკიდებულების საკითხში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში უკვე გაიმარჯვეს — და ამასთან საბოლოოდ გაიმარჯვეს — ნამდვილმა სახალხო ძალებმა, რომლებმაც 1949 წლის შემოდგომაზე შექმნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ მტრულ პოლიტიკას ჩინეთის მიმართ, ჩინელი ხალხის მიმართ. რა შედეგი უნდა მოგვცეს ასეთმა აგრესიულმა პოლიტიკამ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის მოსახლეობაც 500 მილიონ კაცს აღემატება, და ამასთან ისეთ პირობებში, როცა ჩინეთის ხალხის მასების შეგნებულობა და აქტივობა და მისი თავდადებული მზადყოფნა თავისი უფლებების დაცვისათვის დღითიდღე იზრდება? ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისარგებლეს კორეის ომით, ხელთ იგდეს ჩინეთის ტერიტორია — კუნძული ტაივანი და აშკარად ემზადებიან იმისათვის, რომ თავს დაესხან ჩინეთს ტაივანზე მოკალათებული ჩანკაიშელთა ბანდის დახმარებით. საინტერესოა, რომ ჟენევის თათბირზე ითქვა ბევრი ყოველგვარი სიტყვა ხალხთა უფლებებზე, მაგრამ ვერავინ, გარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნამდვილი მეგობრებისა, ვერ გაბედა თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა ტაივანის დაპყრობის წინააღმდეგ. სამაგიეროდ ჩვენ აქ მოვისმინეთ სიტყვების მთელი ნაკადები, რომლებითაც უზომოდ და არადამაჯერებლად აქებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამერიკის აგრესიული წრეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობაზე მხოლოდ უხეში ზეგავლენით ახერხებენ თითქმის ხუთი წლის მანძილზე დააბრკოლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი მონაწილეობის აღდგენა. ამას სჩადიან, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ეპოვნით ისეთ პატიოსან და დამოუკიდებელ დემოკრატ მოღვაწეს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ეს მოქმედება კანონიერად ან რამდენადმე დასაბუთებულად მიაჩნდეს. მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოქალაქეობრივი მოვალეობისა და ბუნებრივი სამართლიანობის გრძნობამ ვერ უკარნახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქ გამოსულ ვერც ერთ წევრს გაეკეთებინა უბრალო რამ—აღენიშნა, რომ დროა ბოლო მოეღოს ასეთ არანორმალურ და აღმაშფოთებელ მდგომარეობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში რა უნდა იფიქრონ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე და იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც ამ პოლიტიკას უჭერენ მხარს, აზიის სხვა ხალხებმა, რომელნიც ისწრაფვიან დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები?

არის ქვეყნები, სადაც ცოტანი როდი არიან იმ ფაქტის გამო უკმაყოფილნი, რომ აზიის ხალხებმა ბოლოს ხელი მოჰკიდეს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების მტკიცედ დაცვას. მაგრამ დროა შეიგნონ, რომ „ძალის პოზიციის“ ვერავითარი პოლიტიკა უკუღმა ვეღარ დაატრიალებს ისტორიის ჩარხს. აზიის ხალხები, რომლის მოსახლეობაც მთელი დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტია, ახალ გზას დაადგნენ, და არ მოიპოვება ისეთი ძალა, არ მოიპოვება ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს აზიის, და არა მარტო აზიის ხალხთა ახალ ნამდვილად დემოკრატიულ განვითარებას. ჩვენ ვიცით, რა თქმა უნდა, რომ ახლა ადგენენ ახალი სამხედრო ბლოკის შექმნის გეგმებს, რომელიც მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხების წინააღმდეგ. ამ სამხედრო ბლოკს ახლა ადგენენ ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ. ჯერ კიდევ საბოლოდ არ არის შეკოწიწებული ეს ახალი აგრესიული ბლოკი აზიის ხალხების წინააღმდეგ. მაგრამ სინგაპურსა და სხვა ადგილებში უკვე იმართება გენერლების თათბირები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიის სამხედრო მოღვაწეთა მონაწილეობით. შესაძლოა ამ ბლოკში ჩაითრიონ აზიის ზოგიერთი დამოკიდებული სახელმწიფოც. მაგრამ ფართო საერთაშორისო წრეებმა უკვე უარყოფითი შეფასება მისცეს ამ გეგმებს. ასეთი სამხედრო გეგმების მიზანია უწინარეს ყოვლისა შეინარჩუნონ და სამუდამოდ დაამკვიდრონ კოლონიური რეჟიმი ყოველგვარი საშუალებით, ალაგმონ ხალხები, რომლებიც ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ესწრაფვიან. ეს გეგმები გამოხატავენ გარკვეულ სახელმწიფოთა მმართველი წრეების აგრესიულ მისწრაფებას, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან მშვიდობის ინტერესებს და ჩაგრულ ხალხთა ეროვნული განთავისუფლების ინტერესებს.

როგორც კორეის საკითხში, ისე ყველა სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხში საბჭოთა კავშირი იცავს მშვიდობის და ხალხთა თავისუფალი განვითარების ინტერესებს. მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთა მმართველი წრეები ისწრაფვიან სამხედრო ბლოკები შექმნან როგორც ევროპაში, ისე აზიაში, საბჭოთა კავშირი იცავს ხალხთა კოლექტიური უშიშროების ინტერესებს. კოლექტიური უშიშროების დაწესების დროს საჭირო აღარ იქნებოდა ერთმანეთისათვის დაპირისპირებული სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებების შექმნა. საბჭოთა კავშირის ეს პოლიტიკა ნაკარნახევია მთელ მსოფლიოს მშვიდობიანი მოსახლეობისა და განმტკიცების ინტერესებით.

ცნობილია, რომ ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შექმნან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ახალი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც დაეყრდნობა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას. ასეთი გეგმები სხვა არა არის რა, თუ არ ახალი ომის მომზადება ევროპაში აგრესიული იმპერიალისტური წრეების საამებლად.

საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად იძლევა გაფრთხილებას ასეთი აგრესიული გეგმების საშიშროების შესახებ. საბჭოთა კავშირი იმის მომხრე იყო და არის, რომ ევროპაში ერთმანეთისათვის დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებათა ნაცვლად მიღწეულ იქნას ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებათა გაერთიანება, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, რომ ეს გაერთიანებული ღონისძიებანი წარიმართოს ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისაკენ. საბჭოთა კავშირმა სწორედ ამ მიზნით მოითხოვა „ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ დადება.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ აზიის ქვეყნების მიმართაც ადგენენ იმ სახელმწიფოების ახალ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გეგმებს, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ კოლონიური რეჟიმი და ხელი შეუშალონ აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ასეთი გეგმები არ შეიძლება შეესაბამებოდეს მშვიდობის ინტერესებს და ვერ დაემყარება ხალხთა მხარდაჭერას. ასეთი გეგმები გამსჭვალულია მისწრაფებით — დაიცვან აზიაში არააზიურ სახელმწიფოთა დრომოჭმული პრივილეგიები, რასთან შერიგებაც ახლა აღარ სურთ აზიის ხალხებს.

მაგრამ აზიის ხალხების წინაშე უკვე სხვა, ახალი გზები დაისახა. ამასვე მოწმობს ის წინადადებაც, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ ამ თათბირზე შემოიტანა და რომლის მიზანია გაერთიანდეს აზიის ხალხების ღონისძიებანი ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირი სავსებით იზიარებს ამ მისწრაფებებს აზიის ყველა ხალხისათვის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისადმი, ისევე როგორც იგი ესწრაფვის იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას შეთანხმების მიღწევა ევროპის ყველა ხალხისათვის კოლექტიური უშიშროების შესახებ.

მილიონობით ადამიანი მოელის, რომ ჟენევის თათბირი თავის დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჟენევის თათბირმა მთელი თავისი ღონისძიებანი იმას უნდა მოახმაროს, რომ გაამართლოს ეს მოლოდინი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

14 მაისს	ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**
15 მაისს	ა. დანკევიჩი — **ბოგდან ხმელნიცკი**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 მაისს დღის სპექტაკლი

თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის კონცერტი-სპექტაკლი

ლ. დელიბი

1. კოპელია

ბალეტი, 1 და 2 აქტი

2. საბალეტო დივერტისმენტი

სტუდიის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი.

დასაწყისი დღის 12 საათზე.
ბილეთები იყიდება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საფოსტო-საბაჟო სამმართველომ თბილისის № 8 აფთიაქთან, ვოლოდარსკის ქ. № 7, გახსნა ჰომეოპათიური განყოფილება.

მოქალაქე **სერგო კარაპეტის-ძე ამბარცუმიანმა,** მცხოვრებმა თუნელ (ონჩარანაა) ქ. № 58, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინა პეტროსის ასულ ამბარცუმიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ანდრო ნიკოლოზის-ძე გაჩეჩილაძემ,** მცხოვრებმა გრიბოედოვის ქ. № 4, აღძრა საქმე პლეხანოვის პრსპ. № 1/90 მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა ნიკოლოზის ასულ ციცაგი-გაჩეჩილაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის კოლექტივი იუწყება საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის **ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გვახარიას** გარდაცვალებას.

გიორგი დიანოზის-ძე გამყრელიძე იუწყება მეუღლის **ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ელეფთეროვა-გამყრელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15-V, 8 ს. გამოსვენება 16-V, 3 ს. ენგელსის ქ. № 33.

მამა ევგენი, ძმა ლერი, ბებია მარიამ, მამიდები ნინო, მარგო, ბიძა მიხეილ, ბიცოლა ნადია, ბიძაშვილი მედული ვარდიშვილები, ბიძა შოთა არველაძე იუწყებიან **ქეთინო ვარდიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-V, 8 ს. გამოსვენება 16-V, 4 ს. თოფურიძის I შესახვევი № 19.

ძმა ალეკო, ბიძაშვილი ბელა, ბიცოლა ლელა, ბიძაშვილი ბელა, ბიძაშვილები ბელა, ბელა, ბელა,